საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 2566 2018 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2019-2020 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

1. დამტკიცდეს თანდართული „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2019-2020 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა“ (დანართი №1) და „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელებისათვის საჭირო რესურსების საერთო შეფასება“ (დანართი №2).

2. განკარგულება ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**

დანართი №1

იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ 2019-2020 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა

I. შესავალი

1.1. 90-იანი წლების კონფლიქტების შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა პრობლემების გრძელვადიანი, მდგრადი და საჭიროებას მორგებული ფორმით გადაწყვეტის მიზნით „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2007 წლის 2 თებერვლის №47 განკარგულებით ძალაში შევიდა „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგია" (შემდგომში - სახელმწიფო სტრატეგია). სახელმწიფოს სტრატეგიის დამატებამ, რომელიც მიღებულ იქნა „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2007 წლის 2 თებერვლის №47 განკარგულებაში დამატებების შეტანის თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2008 წლის 4 დეკემბრის №854 განკარგულებით, 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის აგრესიის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირები მოაქცია სახელმწიფო სტრატეგიის ფარგლებში.

1.2. სახელმწიფო სტრატეგიის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია დევნილი მოსახლეობისათვის ღირსეული ცხოვრების პირობების მხარდაჭერა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ჩაბმა (სახელმწიფო სტრატეგის მე-2 მიზანი).

1.3. აღნიშნული სტრატეგიის მიზნის მისაღწევად, კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ, განახლებულ და განხორციელებულ იქნა იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა.[1]

---

[1] 2008 წლის 30 ივლისი საქართველოს მთავრობის №489 განკარგულება - „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ", რომელიც ეფუძნებოდა გაეროსა და მსოფლიო ბანკის ერთობლივ საჭიროებათა ანალიზის შედეგად გამოვლენილ პრიორიტეტულ საჭიროებებს, ასევე ფართომასშტაბიანი კონსულტაციების გზით გამოკვეთილ საჭიროებებს;
2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შემდეგ, გადაიხედა სამოქმედო გეგმა და არსებული რეალობის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 28 მაისის №403 განკარგულებით დამტკიცდა „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ 2009-2012 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა";
შემდგომ სამოქმედო გეგმის გადახედვა განხორციელდა 2011-2012 წლებში - საქართველოს მთავრობის 2011 წლის 11 მარტის №551 და 2012 წლის 13 ივნისის №1162 განკარგულებებით. 2013 წელს სამოქმედო გეგმაში შევიდა ორი ცვლილება: 2013 წლის 15 მარტის №240 და 2013 წლის 23 მაისის №483 განკარგულებებით.
2015 წლის 4 თებერვლის საქართველოს მთავრობის №127 განკარგულებით დამტკიცდა „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ 2015-2016 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა", 2017 წლის 13 თებერვლის №240 განკარგულებით - „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ 2017-2018 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა", რომლებშიც ასევე შევიდა რამდენიმე ცვლილება, საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულებებით.

1.4. 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მრავალ სხვა პროექტთან ერთად განახორციელა დევნილთა საყოველთაო რეგისტრაცია მთელი ქვეყნის მასშტაბით, რის შედეგად სხვა მონაცემებს შორის განსაზღვრული იყო ის ძირითადი საჭიროებები, რომლებიც საფუძვლად დაედო წინამდებარე სამოქმედო გეგმას.

1.5. საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის სრულყოფის ფარგლებში, შემუშავებულ და მიღებულ იქნა ახალი კანონი „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ", რომელზეც მუშაობა მიმდინარეობდა წარმომადგენლობითი კომისიის ფარგლებში. კომისიაში მონაწილეობდნენ ამ სფეროში მოღვაწე საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და გაეროს ექსპერტები.[2] ამასთან ერთად, მიღებულ იქნა დევნილთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესი და კრიტერიუმები, რომელიც საფუძვლად დაედო ამ პროცესის განხორციელებას.[3]

1.6. იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2019–2020 წლების სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა (შემდგომში - სამოქმედო გეგმა), რომელიც უკავშირდება სახელმწიფო სტრატეგიის ზემოთ აღნიშნული მიზნის მიღწევას, ითვალისწინებს სამი ძირითადი ამოცანის შესრულებას:

ა) დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის გზით;

ბ) დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება;

გ) დევნილთა ინფორმირებულობის გაზრდა.

1.7. სამოქმედო გეგმა წარმოადგენს განახლებულ პრიორიტეტულ მიმართულებებსა და პროექტებს, რომელთა განხორციელების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა დევნილთა მიერ ნებაყოფლობით და ინფორმირებულ გადაწყვეტილებების მიღებას და თავისუფალ არჩევანს, დევნილებთან დიალოგსა და მათ მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, გენდერულ თანასწორობას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ბავშვთა უფლებების, ასევე აღიარებულ ადამიანის სხვა უფლებათა დაცვას.[4]

1.8. დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგია უვადოა, ხოლო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა წარმოადგენს 2019-2020 წლებში განსახორციელებელ პრიორიტეტულ მიმართულებებსა და პროექტებს, რაც თავისთავად არ გულისხმობს სახელმწიფო სტრატეგიით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების ამ ვადაში დასრულებას.

1.9. სამოქმედო გეგმა განხორციელდება ობიექტური, გამჭვირვალე კრიტერიუმების საფუძველზე და უზრუნველყოფს დევნილთა ჩართულობას დაგეგმვის და განხორციელების პროცესში ყველა იმ გადაწყვეტილებასთან მიმართებაში, რომლებიც მათ ეხებათ.

1.10. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში - სამინისტრო) ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს, რომლის მეშვეობითაც დევნილები რეგულარულად მიიღებენ ინფორმაციას სამოქმედო გეგმის ყველა ასპექტთან დაკავშირებით, რაც მათ დაეხმარებათ ინფორმირებულ გადაწყვეტილებათა მიღებაში.

1.11. სამოქმედო გეგმის ძირითადი პრიორიტეტები:

ა) წინა წლებთან შედარებით სამოქმედო გეგმაში აღარ არის გათვალისწინებული ბინების რეაბილიტაცია, რაც ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ სახელმწიფო საკუთრებაში

---

[2] საქართველოს კანონი „ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ " (ძალაში შევიდა 2014 წლის 1 მარტიდან).

[3] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის №320 ბრძანება „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესი".

[4] მაგალითად, გაეროს უშიშროების საბჭოს 1325 რეზოლუცია, რომლის ძირითად პრინციპებსაც ითვალისწინებს სამოქმედო გეგმა.

არსებული კარკასული შენობების რესურსები ამოიწურა. ასევე გათვალისწინება მოხდა რეაბილიტაციის ხარჯებისა და რეაბილიტირებული შენობების ექსპლუატაციის ვადის. 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმაში აქცენტი კეთდება მშენებლობებზე და გრძელვადიანი განსახლების სხვა პროგრამებზე;

ბ) საცხოვრებლების შესყიდვის პროგრამის ფარგლებში სამოქმედო გეგმა 2019 წლის განმავლობაში გეგმავს 650 ოჯახის დახმარებას. აღნიშნული პროგრამის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ დევნილებს შეუძლიათ სოფლად შეარჩიონ საცხოვრებელი სახლები, რომლებსაც თან ახლავს მიწის ნაკვეთი და ამგვარად, განსახლებასთან ერთად დევნილებს უჩნდებათ საარსებო წყაროზე წვდომა;

გ) სამოქმედო გეგმა ასევე ითვალისწინებს ორი წლის განმავლობაში მინიმუმ 40 ნგრევადი ან საცხოვრებლად უვარგისი ყოფილი დევნილთა კომპაქტურად (ორგანიზებულად) განსახლების ობიექტის დახურვას და 700 დევნილი ოჯახის განსახლებას ასეთი ობიექტებიდან;

დ) დევნილთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესის[5] მიხედვით ისეთ დევნილ ოჯახს, რომლის წევრს აქვთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებული ომის ვეტერანის სტატუსი ან რომლის წევრი გარდაიცვალა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში, სარგებლობს გარკვეული უპირატესობით განსახლების დროს, რაც გამოიხატება შესაბამისი ქულის მინიჭებით. 2019 წელს, საპილოტე რეჟიმში სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს დამატებით ისეთი 180 მოწყვლადი დევნილი ოჯახის განსახლებას, რომლის წევრს აქვს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებული ომის ვეტერანის სტატუსი ან რომლის წევრი გარდაიცვალა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში.

1.12. სამოქმედო გეგმის ძირითადი მოსალოდნელი შედეგებია:

ა) დევნილთა შესახებ არსებული ინფორმაციის განახლება მონაცემთა ბაზაში, მათ შორის დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და დევნილთა გრძელვადიანი განსახლებისთვის საჭირო სხვა მონაცემების შესახებ;

ბ) დევნილთა გრძელვადიანი განსახლება სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში:

ბ.ა) საცხოვრებლების შესყიდვის პროგრამის ფარგლებში 2019 წელს დაგეგმილია 650 დევნილი ოჯახის განსახლება. პროგრამის ფარგლებში, 2019 წელს საპილოტე რეჟიმში განხორციელდება 2013 წლის 1 ივნისამდე თბილისში რეგისტრირებული 50 დევნილი ოჯახის განსახლება თანადაფინანსების პრინციპის საფუძველზე. აღნიშნულის განხორციელების მიზნით, შემუშავდება შესაბამისი ცვლილება და აისახება მინისტრის ნორმატიული აქტით დამტკიცებულ დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესში;

ბ.ბ) ახლადაშენებულ საცხოვრებელ კორპუსებში 2019 წელს ბინას მიიღებს დაახლოებით 1100 დევნილი ოჯახი. 2020 წლის ინდიკატორი დაზუსტდება 2019 წლის ბოლოს;

ბ.გ) მრავალბინიან საცხოვრებელ შენობებში 2019 წელს მოხდება 800 ბინის შეძენა (მათ შორის შეძენილი ბინების ნაწილის შესყიდვაზე ხელშეკრულებები გაფორმებულია 2018 წელს). 2020 წლის ინდიკატორი დაზუსტდება 2019 წლის ბოლოს;

ბ.დ) მოხდება დაახლოებით 100 კერძო საკუთრებაში არსებული ბინის გამოსყიდვა 2019-2020 წლებში;

ბ.ე) განხორციელდება 200 იპოთეკარის დახმარება 2019-2020 წლებში;

ბ.ვ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებული ომის ვეტერანების და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპული პირების დევნილი ოჯახის წევრების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით 2019 წელს საპილოტე რეჟიმში განხორციელდება 180 მოწყვლადი დევნილი ოჯახის განსახლება მრავალბინიან

---

[5] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის №320 ბრძანება „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესი“.

საცხოვრებელ შენობებში და ახლადაშენებულ საცხოვრებელ კორპუსებში. აღნიშნულის განხორციელების მიზნით, შემუშავდება შესაბამისი ცვლილება და აისახება მინისტრის ნორმატიული აქტით დამტკიცებულ დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესში;

გ) საცხოვრებელი ფართების პრივატიზაციის მიმართულებით 2019-2020 წლებში იგეგმება 3000 ოჯახისთვის საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში დარეგისტრირება.

II. სამოქმედო გეგმის ამოცანების განმარტება და დასაბუთება

2.1. დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების მიმართულებები

2.1.1. „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელებისათვის საჭირო რესურსების საერთო შეფასების“ (დანართი №2) (შემდგომში - სამოქმედო გეგმის შეფასება) 2.1.2.1., 2.1.2.6. და 2.1.2.7. პუნქტების მიხედვით, დევნილებისთვის, რომლებსაც არ გააჩნიათ საცხოვრებელი და ცხოვრობენ უკიდურესად გაჭირვებულ პირობებში, სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფას სახელმწიფოს მიერ ახლად აშენებულ კორპუსებსა და სახლებში ან სახელმწიფოს მიერ შესყიდულ ბინებსა და სახლებში (მათ შორის, თანადაფინანსებით), ასევე აშენებულ ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლებში სოფლად.

2.1.2. სამოქმედო გეგმის შეფასების 2.1.2.4. და 2.1.2.5. პუნქტების მიხედვით მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართებში მაცხოვრებელ დევნილებს, რომლებიც საჭიროებენ გრძელვადიან განსახლებას და სახელმწიფო სთავაზობს ფაქტობრივი ჩასახლების ადგილებს, მათ აღნიშნული საცხოვრებელი ფართები საკუთრებაში გადაეცემათ ფაქტობრივი ფლობის მიხედვით;

მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართებში მაცხოვრებელი დევნილებისთვის, სამოქმედო გეგმით შეთავაზებული ალტერნატივები ეყრდნობა ორ შემთხვევას:

ა) დევნილთა მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართები, რომლებიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს დევნილთა გრძელვადიანი განსახლებისთვის;

ბ) დევნილთა მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით (არ ექვემდებარება რეაბილიტაციას, ან შეუძლებელია საცხოვრებლად მოეწყოს, ან მისი საცხოვრებელ ბინებად გარდაქმნა განსახლების სხვა ალტერნატივებთან შედარებით საგრძნობლად ძვირია, ან წარმოადგენს კერძო საკუთრებას, ან აქვს მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მნიშვნელობა, ან შენობები ავარიულია, ან სახელმწიფო ინტერესის შემცველი და სტრატეგიული მნიშვნელობისაა) შეუძლებელია გამოყენებული იყოს დევნილთა გრძელვადიანი განსახლებისთვის.

არსებობს დევნილთათვის საკუთრებაში გადასაცემი მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემული საცხოვრებელი ფართების ორი კატეგორია:

ბ.ა) ის შენობები, რომლებიც სახელმწიფო საკუთრებაშია (სამოქმედო გეგმის შეფასების 2.1.2.4. პუნქტი);

ბ.ბ) შენობები, რომლებსაც სახელმწიფო შეისყიდის კერძო მესაკუთრეთაგან გონივრულ ფასად (ფასი არ იქნება უფრო მაღალი, ვიდრე სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ალტერნატიული განსახლების ღირებულება) და საკუთრებაში გადაცემის მიზნით შეეთავაზება დევნილებს (სამოქმედო გეგმის შეფასების 2.1.2.7. პუნქტი).

იმ ობიექტებიდან დევნილთა განსახლება, რომელთა გამოყენება გრძელვადიანი განსახლების მიზნით შეუძლებელია, განხორციელდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის (შემდგომში - მინისტრი) ნორმატიული აქტით დამტკიცებული დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესისა და კრიტერიუმების მიხედვით.

მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელი ფართებიდან (ყოფილი კომპაქტურად განსახლების ობიექტებიდან), რომლებიც შეუძლებელია გამოყენებული იყოს დევნილთა გრძელვადიანი განსახლებისთვის, მესაკუთრის მოთხოვნის საფუძველზე შესაძლებელია განხორციელდეს იქ მაცხოვრებელი დევნილი ოჯახების გამოყვანა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2-6-ე პუნქტებით გათვალისწინებული წესის დაცვით, ხოლო განსახლება - მინისტრის ნორმატიული აქტით დამტკიცებული დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესისა და კრიტერიუმების მიხედვით.

დევნილებს, რომელთაც ესაჭიროებათ გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფა, მიეცემათ შესაძლებლობა მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილება და თანხმობა ან უარი განაცხადონ შეთავაზებული საცხოვრებელი ფართის დაკანონებაზე/საკუთრებაში გადაცემაზე.

დევნილები, რომლებიც უარს იტყვიან დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფისათვის გამოყოფილ მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემული საცხოვრებელი ფართების დაკანონებაზე, გააგრძელებენ ცხოვრებას განკუთვნილ ფართებში, ვიდრე დევნილი არ განაცხადებს თანხმობას ერთ-ერთ ალტერნატიულ შეთავაზებაზე. ამასთან, გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროცესი ამ ობიექტზე არ შეფერხდება.

2.1.3. გრძელვადიანი განსახლების მიზნით, სახელმწიფოს მიერ ერთჯერადი ფულადი დახმარება გაიცემა იმ დევნილ ოჯახებზე, რომლებმაც მინისტრის ნორმატიული აქტით დამტკიცებულ თარიღამდე იპოთეკური სესხით შეიძინეს საცხოვრებელი სახლები/ბინები და აღნიშნული საცხოვრებელი სახლები/ბინები არის მათი ერთადერთი საკუთრება. ერთჯერადი ფულადი დახმარების მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება მინისტრის ნორმატიული აქტით. ამ დევნილი ოჯახების შერჩევა განხორციელდება მინისტრის ნორმატიული აქტით დამტკიცებული დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესისა და კრიტერიუმების მიხედვით.

2.1.4. ქ. თბილისში, ახლად აშენებულ საცხოვრებელ კორპუსებში, სახელმწიფოს მიერ შესყიდულ საცხოვრებლებში ან რეაბილიტირებულ შენობებში საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილდებიან ის დევნილი ოჯახები, რომელნიც 2013 წლის 1 ივნისამდე დარეგისტრირდნენ ქ. თბილისში.

2.1.5. მინისტრის ნორმატიული აქტით დამტკიცებული დევნილი ოჯახის წევრთა რიცხოვნობის გათვალისწინებით საცხოვრებელი ფართის სტანდარტები არის ამოსავალი დოკუმენტი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებისას, გარდა სამოქმედო გეგმის შეფასების 2.1.2.4. და 2.1.2.5. პუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებებისა.

2.1.6. სამოქმედო გეგმის შეფასების 2.1.2. პუნქტში მოცემული განსახლების ღონისძიებები არის ძირითადი, თუმცა სამინისტრომ დევნილებს შესაძლოა შესთავაზოს სხვადასხვა ალტერნატივა (მათ შორის მაგალითად, სოციალური საცხოვრებელი, დროებით ქირით უზრუნველყოფა, საცხოვრებელი ფართის სანაცვლოდ, კერძო ინვესტორის ან სახელმწიფოს მიერ გაცემული ერთჯერადი ფულადი დახმარება).

2.1.7. საცხოვრებელი ფართი – ბინა დევნილ ოჯახებს საკუთრებაში გადაეცემათ უსასყიდლოდ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

2.1.8. საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემის შემდეგ დევნილებს ეძლევათ საშუალება, ჩამოაყალიბონ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები, რომლებიც იქნებიან მუნიციპალიტეტების პროგრამების ბენეფიციარები და მიიღებენ დახმარებას სხვადასხვა საყოფაცხოვრებო პრობლემის გადაწყვეტაში. ამასთან, სამინისტრო, მისი კომპეტენციის ფარგლებში, ხელს შეუწყობს მოცემული ღონისძიებების განხორციელებას ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინანსებითა და საერთო სარგებლობაში არსებული ფართების

ზინაათმესაკუთრეთა აღმასაგრობებისთვის საკუთრებაში გადაცემის გზით (სამოქმედო გეგმის შეფასების 2.1.3.1. და 2.1.3.2. პუნქტების შესაბამისად).

2.1.9. დევნილი ოჯახები, რომლებსაც სახელმწიფოს ან კერძო ინვესტორის მიერ, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე მიღებული აქვთ საცხოვრებელი ფართი ან/და საცხოვრებელი ფართის სანაცვლო ფულადი კომპენსაცია, ჩაითვლებიან როგორც სახელმწიფოს მიერ დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის ფარგლებში დაკმაყოფილებულად. მათი საცხოვრებელი ფართით ხელახლა დაკმაყოფილების საკითხი სახელმწიფოს მიერ აღარ განიხილება.

2.1.10. იმ დევნილ ოჯახებთან მიმართებით, რომლებიც არ საჭიროებენ გრძელვადიან განსახლებას, მათ შორის იმ დევნილების, რომელთაც საკუთარი სახსრებით შეიძინეს საცხოვრებელი ფართი, მათი დახმარების შესაძლებლობა განიხილება ბოლო ეტაპზე.

2.1.11. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მეშვეობით, უზრუნველყოფს დევნილთათვის საცხოვრებელი ფართებისა და შენობების სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას სათანადო ხარისხს. სამინისტრო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, გადადგავს ყველა საჭირო ნაბიჯს, რათა დევნილთა გრძელვადიანი განსახლების პროცესში დაცული იქნეს დევნილთა უფლებები.

2.1.12. გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ღონისძიებები არ განხორციელდება იმ დევნილი ოჯახების მიმართ, რომლებიც არამართლზომიერად/ თვითნებურად იკავებენ დევნილთა იმ ყოფილ მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ საცხოვრებელ ფართს, რომლიდანაც სამინისტრომ განახორციელა დევნილთა გამოყვანისა და განსახლების ღონისძიებები.

2.2. დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება

2.2.1. აღნიშნული ამოცანის შესრულება მოიცავს ორი სპეციფიკური ქვეამოცანის განხორციელებას:

ა) დევნილის დახმარების მექანიზმის საჭიროებებზე დაფუძნებული მოდელის შემუშავება;

ბ) საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობისა და სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის საჭიროებების გათვალისწინება.

2.2.2. დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის მიზნით, გაგრძელდება დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება.

2.2.3. დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფისა და მათი ინტეგრაციის მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელების პარალელურად, მოხდება დევნილთა მიმართ სოციალური დახმარების სისტემის ანალიზი, მათ საჭიროებებზე დაფუძნებული მოდელის შემუშავებასთან დაკავშირებით. დევნილთა მხრიდან დახმარების მიღების მიზანშეწონილობა უნდა დაეფუძნოს რაციონალურ, ნათელ და გამჭვირვალე კრიტერიუმებს. მოდელის შერჩევა უნდა განხორციელდეს სხვა სახელმწიფო დაწესებულებებთან, დევნილებთან, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან, ექსპერტებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით.

2.2.4. გადაუდებელი საჭიროების შემთხვევებში, სახელმწიფო უზრუნველყოფს დევნილ ოჯახებს ერთჯერადი ფულადი დახმარებით შემუშავებული კრიტერიუმების შესაბამისად.

2.2.5. სამოქმედო გეგმის მთავარი ამოცანაა დევნილთა პრობლემების მდგრადი გადაჭრა. გრძელვადიანი განსახლება წარმოადგენს ძირითად საჭიროებას, რომლის მდგრადი ფორმით გადაწყვეტა მჭიდროდ დაკავშირებულია დევნილთა საარსებო წყაროებზე სათანადო ხელმისაწვდომობასთან. აღნიშნული ამოცანის გადასაჭრელად სამინისტროს მიერ შემუშავდა და „იძულებით გადაადგილებულ პირთათვის - დევნილთათვის საარსებო წყაროებზე

ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის №257 განკარგულებით დამტკიცებულ იქნა „იძულებით გადაადგილებულ პირთათვის - დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგია“. აღნიშნული სტრატეგია ითვალისწინებს საარსებო წყაროების შექმნის პროექტების განხორციელებას მიზნობრივი საჭიროების მქონე ჯგუფებთან მიმართებაში.

2.2.6. დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის მიზანია დევნილთა და მათი მასპინძელი თემებისათვის შექმნას შესაბამისი შესაძლებლობები მათი პოტენციალის რეალიზაციისათვის, რათა ისინი გახდნენ ფინანსურად დამოუკიდებელნი სახელმწიფოსაგან და, შესაბამისად, განვითარდნენ ეკონომიკურად, სოციალურად და ფსიქოლოგიურად და სრულფასოვანი როლი შეასრულონ საქართველოს შემდგომ განვითარებაში.

2.2.7. აღნიშნული სტრატეგიის მიზნების განსახორციელებლად შეიქმნა სსიპ „საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო“. შემუშავდა დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა[6] სახელმწიფო უწყებებისა და საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების თანამონაწილეობითი პროცესის საფუძველზე. დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმის ძირითადი მიზანია, დევნილთა დასაქმების ბაზარზე უკეთესი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის პირობების გაუმჯობესება და მოიცავს დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ აქტივობებს, რომლებიც ასევე შეესაბამება საქართველოს მთავრობის 2007 წლის 2 თებერვლის №47 განკარგულებით დამტკიცებულ „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიას“.

2.3. დევნილთა ინფორმირებულობის გაზრდა

2.3.1. აღნიშნული ამოცანის შესრულება გულისხმობს დევნილთა ინფორმირებულობის და ცნობიერების დონის გაზრდას მათთვის ხელმისაწვდომ პროგრამებზე, იურიდიულ კონსულტაციებზე დევნილთა ხელმისაწვდომობას და სამოქმედო გეგმაში მათი ჩართულობის ხელშეწყობას. დევნილთა ცნობიერების ამაღლების ერთ-ერთი ძირითადი მიზანია დევნილთა ინფორმირება მათთვის განკუთვნილი პროგრამების შესახებ, რათა გაიზარდოს დევნილთა ჩართულობა აღნიშნული პროგრამების შემუშავების პროცესში და სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული სერვისების დროს დევნილებს შეეძლოთ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება.

2.3.2. დევნილთა ინფორმირებულობის და ცნობიერების დონის გაზრდა გულისხმობს დევნილთათვის ინფორმაციის რეგულარულ მიწოდებას ისეთ საკითხებზე, როგორიც არის სახელმწიფო სტრატეგიის და მისი სამოქმედო გეგმის განხორციელების პროგრესი და სხვა

---

[6] საქართველოს მთავრობის 2015 წლის 4 თებერვლის №128 განკარგულებით დამტკიცებული „იძულებით გადაადგილებულ პირთათვის - დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმა“, რომელიც შეიცვალა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 დეკემბრის №2721 განკარგულებით დამტკიცებულმა „იძულებით გადაადგილებულ პირთათვის - დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმით.“ ამჟამად მიმდინარეობს საქართველოს მთავრობის 2018 წლის 15 თებერვლის №404 განკარგულებით დამტკიცებული „იძულებით გადაადგილებულ პირთათვის - დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმით“ გათვალისწინებული საარსებო წყაროების პროექტების განხორციელება.

შესაბამისი ინფორმაცია, რომელიც მიწოდებული შეიძლება იყოს ცხელი ხაზის და მისაღების მეშვეობით, ასევე უშუალოდ დევნილთა განსახლების ობიექტებში დევნილთა ჯგუფებთან.

2.3.3. დევნილთა უზრუნველყოფა საჭირო ინფორმაციითა და იურიდიული კონსულტაციით ხორციელდება მედია (საინფორმაციო კამპანიის ჩათვლით) საშუალებების ჩართულობით, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დევნილთა მობილიზების ხელშეწყობით.

2.3.4. სამინისტრო ხელს უწყობს დევნილთა ჩართულობას სამოქმედო გეგმის შედგენის, განხორციელების და მიმოხილვის პროცესში, მათ შორის დევნილთა განსახლების ადგილებში დევნილთა აქტიურ ჯგუფებთან საინფორმაციო შეხვედრებისა და საკონსულტაციო მისიების ჩატარების გზით.

III. სამოქმედო გეგმის ფინანსური გათვლა და უზრუნველყოფა

განკარგულებას თანდართული „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის რეალიზებისათვის საჭირო რესურსების საერთო შეფასებაში" მოცემულია კონკრეტული სამოქმედო მიმართულებები, ღონისძიებები, მათი განხორციელების ვადები და რესურსების მობილიზების საჭიროებები. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული 2019 წლის აქტივობების განსახორციელებლად საჭიროა 99,703,850 ლარი, ხოლო 2020 წლის ბიუჯეტი დაზუსტდება 2019 წლის ბოლოს. შესაძლოა მოხდეს აღნიშნული თანხების დაზუსტება, განსაკუთრებით გრძელვადიანი განსახლების პროექტების დაფინანსების მიმართულებით. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესასრულებლად საჭირო საბიუჯეტო თანხების ზედა ზღვარი 2019 წელს არის დაახლოებით 102,700,000 ლარი (სახელმწიფო ბიუჯეტის 27 06 03 და 25 06 კოდებით გათვალისწინებული თანხები).

IV. საკოორდინაციო მექანიზმი

4.1. საერთო კოორდინაციას განახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს სამინისტრო. იგი იღებს გადაწყვეტილებებს საქართველოს მთავრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან საერთო მოქმედების კოორდინაციის მიზნით, რათა მოხდეს დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის რეალიზება და განხორციელება. ასევე, საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს იძულებით გადაადგილებულ პირთათვის - დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებების შესრულებასთან დაკავშირებით, უწევს მონიტორინგს და მართავს აღნიშნული სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესს.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არიან: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში (EUMM), გაეროს ლტოლვილთა საქმეების უმაღლესი კომისარიატი (UNHCR), გაერთიანებული ერების მუდმივი კოორდინატორი საქართველოში (UNCT), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) „პროექტი ზრდა საქართველოში" (ZRDA) წარმომადგენელი; სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, სათათბირო ხმის უფლებით, ასევე არიან არასამთავრობო სექტორის ორი წარმომადგენელი (ერთი ადგილობრივი, ერთი საერთაშორისო),

სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები შესაძლებელია მოწვეულ იქნენ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ სპეციფიკური საკითხების განსახილველად.

სამეთვალყურეო საბჭოს პერსონალური შემადგენლობა მტკიცდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით, ზემოაღნიშნული სახელმწიფო ორგანოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან. სამეთვალყურეო საბჭოს დებულება მტკიცდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით.

სამეთვალყურეო საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს, თითოეულ უწყებას და ორგანიზაციას აქვს ერთი ხმა. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის მიმდინარეობისა და მიღებულ გადაწყვეტილებათა თაობაზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი. იმ შემთხვევაში, თუ საბჭოს რომელიმე წევრი არ ეთანხმება სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებას, მას უფლება აქვს თავისი პოზიცია დააფიქსიროს სხდომის ოქმში.

4.2. სამეთვალყურეო საბჭო იკრიბება მინიმუმ წელიწადში ორჯერ, ხოლო გადაუდებელი საკითხების გადასაწყვეტად იწვევს ასევე რიგგარეშე სხდომებს. სამეთვალყურეო საბჭოს უფლება აქვს მოახდინოს სამოქმედო გეგმის განხორციელებისათვის საჭირო სხვადასხვა საკითხის გადაწყვეტა.

4.3. სამეთვალყურეო საბჭო განიხილავს გეგმებს და აყალიბებს პრიორიტეტულ მიმართულებებს. სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები იქნება კონკრეტული და დროში გაწერილი. სამეთვალყურეო საბჭოს დისკუსიები და გადაწყვეტილებები ეფუძნება კომპეტენტურ ტექნიკურ ექსპერტიზას, მონაცემებსა და რჩევებს. სამეთვალყურეო საბჭოს მიერ გაკეთებული რეკომენდაციები და მიღებული გადაწყვეტილებები მიეწოდება საქართველოს პრემიერ-მინისტრს, საქართველოს მთავრობის წევრებსა და საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს. სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ექსპერტ-ჯგუფებს დაევალება ტექნიკური დახმარების აღმოჩენა და დროში გათვლილ ისეთ სპეციფიკურ დავალებათა შესრულება, რომლებიც აუცილებელია სამოქმედო გეგმის განხორციელებისათვის (მაგ., სტანდარტების შემუშავება, სამართლებრივი საკითხები და სხვ.).

4.4. სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელი იქნება განხორციელებული ღონისძიებების გამჭვირვალობისათვის. სამინისტრო განახორციელებს პროექტების მონიტორინგს. სხვადასხვა სამთავრობო, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაცია ფართოდ იქნება ჩართული ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის აღმოჩენასა და ამ პროგრამების განხორციელებაში.

4.5. სამინისტროებს შორის კოორდინაცია განხორციელდება მთავრობის რეგულარული სხდომების, ასევე სამინისტროს სხვადასხვა უწყების კონკრეტულ საკითხებზე გამოყოფილ თანამშრომელთა შორის პირდაპირი კომუნიკაციის გზით. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პროექტების განხორციელების დროს სახელმწიფო უწყებები ჩართულები იქნებიან მათი კომპეტენციის მიხედვით. კერძოდ, სამინიტრო – სამოქმედო გეგმის განხორციელების კოორდინაციაზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო – დევნილთა გრძელვადიანი განსახლების პროგრამებისთვის უძრავი ქონების, მიწის და შენობების გამოყოფაზე, სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“ – უძრავი ქონების რეგისტრაციის და დევნილთათვის გრძელვადიანი განსახლების პროექტებით გადაცემულ საცხოვრებელ ფართებზე ქონებრივი უფლების რეგისტრაციაზე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი – სამშენებლო და სარეაბილიტაციო პროექტების განხორციელებაზე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო – სოციალურ მომსახურებებზე და ასევე სხვა საჯარო უწყები კომპეტენციის მიხედვით. სამინისტრო მხარს დაუჭერს სხვადასხვა სახელმწიფო უწყების

ჩართულობის გაზრდას იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემების მოგვარების მიზნით.

4.6. სამინისტრო გააგრძელებს რეგიონალური წარმომადგენლობების დეცენტრალიზაციის პროცესის მხარდაჭერას ადგილობრივ დონეზე მათი ფუნქციების სრულყოფის მიზნით.

V. გასაჩივრების მექანიზმი

დევნილებს შეუძლიათ ისარგებლონ გასაჩივრების არსებული მექანიზმით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, ასევე მიმართონ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

VI. თვალსაჩინოების უზრუნველყოფა

სამინისტრო, მისი კომპეტენციის ფარგლებში, გაითვალისწინებს დონორთა რეკომენდაციებს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით.

VII. მონიტორინგი და შეფასება

7.1. სამინისტრო უზრუნველყოფს საქართველოს სახალხო დამცველის, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატისა და მონიტორინგის განმახორციელებელი სხვა სააგენტოებისა და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენელთა სრულ წვდომას დევნილთა განსახლების პროცესის განმავლობაში. ეს მოიცავს ინფორმაციის გაცვლას, ერთობლივ მონიტორინგის მისიებს და სხვა ღონისძიებებს. გარეშე შემფასებლის საჭიროებასა და შესაძლებლობაზე გადაწყვეტილების მიღება მოხდება სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე.

7.2. სამოქმედო გეგმა დამტკიცების შემდგომ ყოველწლიურად განახლდება და საჭიროების შემთხვევაში განახლდება დამოუკიდებელი შუალედური შეფასების საფუძველზე. ორივე მექანიზმი ინიცირებული იქნება სამინისტროს მიერ ყველა სხვა პარტნიორთან კონსულტაციის გზით. სამოქმედო გეგმაში ცვლილებები, საჭიროების შემთხვევაში, შემუშავდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, სამინისტროს უშუალო ხელმძღვანელობით, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

VIII. შესაძლო რისკები

8.1. სხვადასხვა ფაქტორის გამო შესაძლოა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებას შეფერხებები შეექმნეს, რამაც გამოიწვიოს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული რესურსების გადამისამართება. სტიქიური მოვლენების შედეგად მოსახლეობის დიდი ჯგუფის იძულებით გადაადგილებამ შეიძლება გამოიწვიოს სხვა პრიორიტეტებისა და გამოწვევების გამო სამოქმედო გეგმის აქტივობების შესრულებაში პრობლემები. ასევე შესაძლებელია, რომ დაინტერესებული მხარეები არასათანადოდ ჩაერთონ ისეთ აქტივობებში, სადაც მათი ჩართულობაა გათვალისწინებული სამოქმედო გეგმით.

8.2. წარმოდგენილი რისკების შემცირების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების ინიცირება მოხდება სამოქმედო გეგმაში, რათა შესაბამისობაში მოვიდეს არსებულ რეალობასთან. სამინისტრო შეცვლის სამოქმედო გეგმას სხვა სახელმწიფო უწყებებთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, რათა გამოწვევებს უპასუხოს.

იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელებისათვის საჭირო რესურსების საერთო შეფასება

სახელმწიფო სტრატეგიის მე-2 მიზანი[1]: დევნილი მოსახლეობის ღირსეული ცხოვრების პირობების მხარდაჭერა და მათი სოціალური ინტეგრაცია								
პოლიტიკის შედეგი	აქტივობა	შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი უწყება	სახელმწიფო დაწესებულება/ პარტნიორი ორგანიზაცია	განხორციელების ვადა	საპროგნოზო ბიუჯეტი (ლარი)	დაფინანსების წყარო	შესაძლო რისკები
2.1. ამოცანა: დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება გრძელვადიანი განსახლების პროგრამებით უზრუნველყოფის გზით								
2.1.1. დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით მოსამზადებელი ღონისძიებების განხორციელება	1) დევნილთა მონაცემთა ბაზის განახლება							
	2.1.1.1. დევნილთა მონაცემთა ბაზაში კანონმდებლობით განსაზღვრული მონაცემების მუდმივი განახლება	დევნილთა მონაცემთა ბაზა განახლებულია, ხელმისაწვდომია უფლებამოსილი პირებისათვის, ფუნქციონირებს და ხდება ინფორმაციის განახლება სეგრეგირებული მონაცემების მიხედვით (სქესი, ასაკი და რეგიონი). იგი შეიცავს პროგრესის შეფასებისთვის საჭირო ყველა სახის ინფორმაციას.	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2019: ყოველთვიურად 2020: ყოველთვიურად	2019: 16,500 2020: 16,500	სახელმწიფო ბიუჯეტი	-

[1] სტრატეგიის პირველი მიზანია „დევნილთა ღირსეულად და უსაფრთხოდ დაბრუნებისათვის“ პირობების შექმნა

პოლიტიკის შედეგი	აქტივობა	შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი უწყება	სახელმწიფო დაწესებულება/ პარტნიორი ორგანიზაცია	განხორციელების ვადა	საპროგნოზო ბიუჯეტი (ლარი)	დაფინანსების წყარო	შესაძლო რისკები
	2.1.1.2. დევნილთა პერსონალური მონაცემების, მათ შორის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების, რეგისტრაციის ადგილის, დაბადების ან/და გარდაცვალების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა აღნიშნული მონაცემების დადგენა/დაზუსტების მიზნით.	გამოთხოვილი მონაცემები	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო	სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2019: ყოველთვიურად 2020: ყოველთვიურად	2019: 2100 2020: 2100	სახელმწიფო ბიუჯეტი	-
	2) დევნილთა სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ მონაცემების განახლება							
	2.1.1.3. სოციალურ პროგრამებში ჩართული ბენეფიციარების, ასევე სხვადასხვა სოციალური სტატუსის შესახებ მონაცემების განახლება.	განახლებული მონაცემები	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	ყოველთვიურად	2019: 700 2020: 700	სახელმწიფო ბიუჯეტი	-
	2.1.1.4. კანონმდებლობით გათვალისწინებული ინფორმაციის ასახვა დევნილთა ყოველთვიური შემოსავლის ოდენობის შესახებ		სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო	სსიპ - შემოსავლების სამსახური; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	ყოველთვიურად	2019: 700 2020: 700	სახელმწიფო ბიუჯეტი	-
	3) დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მონაცემების განახლება							

პოლიტიკის შედეგი	აქტივობა	შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი უწყება	სახელმწიფო დაწესებულება/ პარტნიორი ორგანიზაცია	განხორციელების ვადა	საპროგნოზო ბიუჯეტი (ლარი)	დაფინანსების წყარო	შესაძლო რისკები
	2.1.1.5. ინფორმაციის რეგულარული განახლება დევნილთა განსახლების იმ ობიექტებისა და შენობების შესახებ, რომელთა სარემონტო სამუშაოები იგეგმება ან მიმდინარეობს	განახლებული ინფორმაცია	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო	-	2019: ყოველთვიურად 2020: ყოველთვიურად	2019: 4500 2020: 4500	სახელმწიფო ბიუჯეტი	-
	2.1.1.6. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გამოუყენებელი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მოძიება სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში საცხოვრებელი კორპუსების ან სახლების ასაშენებლად.	მშენებლობისათვის გამოყოფილი მიწის ზომა კვ. მეტრებში.	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო	2019: 0.5 ha 2020: 0.5 ha	2019: 300 2020: 300	სახელმწიფო ბიუჯეტი	-
	2.1.1.7. დევნილთა გრძელვადიანი განსახლების ობიექტების ტექნიკური შეფასება სარემონტო სამუშაოების განხორციელების მიზნით	ტექნიკურად შეფასებული ობიექტების რაოდენობა	სსიპ- სოციალური მომსახურების სააგენტო	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2019: 75 ობიექტი 2020: 75 ობიექტი	2019: 3800 2020: 3800	სახელმწიფო ბიუჯეტი	-

პოლიტიკის შედეგი	აქტივობა	შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი უწყება	სახელმწიფო დაწესებულება/ პარტნიორი ორგანიზაცია	განხორციელების ვადა	საპროგნოზო ბიუჯეტი (ლარი)	დაფინანსების წყარო	შესაძლო რისკები
	2.1.1.8. დევნილთა განსახლების კრიტერიუმების, პროცედურების, საცხოვრებლის სტანდარტების და ამ საკითხთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი აქტების გადახედვა.	განახლებული/ მიღებული სამართლებრივი აქტების რაოდენობა	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	-	წელიწადში მინიმუმ ერთხელ	2019: 4800 2020: 4800	სახელმწიფო ბიუჯეტი	-
2.1.2. დევნილთა გრძელვადიანი განსახლების პროგრამების განხორციელება არსებული შენობების ფარგლებში და ახალი ჩასახლებების შექმნის გზით. დევნილი ოჯახების შერჩევა განხორციელდება მინისტრის ნორმატიული აქტით დამტკიცებული დევნილთა	2.1.2.1. დევნილი ოჯახებისათვის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისა და ბინების შეძენა/შესყიდვა და საკუთრებაში გადაცემა, მათ შორის თანადაფინანსებით, მინისტრის ნორმატიული აქტით დამტკიცებული დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესისა და კრიტერიუმების მიხედვით.	• შესყიდული სახლების/ბინების რაოდენობა; • დევნილთათვის საკუთრებაში გადაცემული/ რეგისტრირებული სახლების/ბინების რაოდენობა. • ოჯახების რაოდენობა, რომლებიც აღნიშნული პროექტის შედეგად უზრუნველყოფილნი არიან მდგრადი სათანადო საცხოვრებლით.	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სსიპ- სოციალური მომსახურების სააგენტო	სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	2019: 600 საცხოვრებელი 2020: დაზუსტდება 2019 წლის ბოლოს	2019: 12,250,000 2020: დაზუსტდება 2019 წლის ბოლოს	სახელმწიფო ბიუჯეტი	დევნილთა მიერ შესასყიდი სახლების წარმოდგენის შეფერხება

პოლიტიკის შედეგი	აქტივობა	შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი უწყება	სახელმწიფო დაწესებულება/ პარტნიორი ორგანიზაცია	განხორციელების ვადა	საპროგნოზო ბიუჯეტი (ლარი)	დაფინანსების წყარო	შესაძლო რისკები
საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის, სტანდარტებისა და კრიტერიუმების მიხედვით.	2.1.2.2. 2013 წლის 1 ივნისამდე თბილისში რეგისტრირებული 50 დევნილი ოჯახის განსახლება თანადაფინანსებით (საპილოტე). 2.1.2.3. აღნიშნულის განხორციელების მიზნით, შემუშავდება შესაბამისი ცვლილება და აისახება მინისტრის ნორმატიული აქტით დამტკიცებულ დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესში.	• შესყიდული სახლების/ბინების რაოდენობა; • დევნილთათვის საკუთრებაში გადაცემული/ რეგისტრირებული სახლების/ბინების რაოდენობა. • ოჯახების რაოდენობა, რომლებიც აღნიშნული პროექტის შედეგად უზრუნველყოფილნი არიან მდგრადი სათანადო საცხოვრებლით.	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სსიპ- სოციალური მომსახურების სააგენტო	სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	2019: 50 საცხოვრებელი 2020: დაზუსტდება 2019 წლის ბოლოს	2019: 2.750,000 2020: დაზუსტდება 2019 წლის ბოლოს	სახელმწიფო ბიუჯეტი	-
	2.1.2.4. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული და დევნილთა მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემული შესაბამისი საცხოვრებელი ფართების დევნილთათვის საკუთრებაში გადაცემა	დევნილთათვის საკუთრებაში გადაცემული საცხოვრებელი ფართების რაოდენობა	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო; სსიპ- სოციალური მომსახურების სააგენტო	2019: 1500 გადაცემული საცხოვრებელი 2020: 1500 გადაცემული საცხოვრებელი	2019: 100,000 2020: 100,000	სახელმწიფო ბიუჯეტი	მთავრობის განკარგულების გამოცემის შემდგომ დევნილებთან ხელშეკრულებების გაფორმების შეფერხება. (დევნილის მიერ ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარი ან დოკუმენტაციის მოუწესრიგებლობა)
	2.1.2.5. კერძო საკუთრებაში არსებული და დევნილთა მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემული საცხოვრებელი ფართების/შენობების გამოსყიდვა და	• გამოსყიდული ბინების რაოდენობა. • გადაცემული ბინების რაოდენობა.	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო; სსიპ- სოციალური მომსახურების სააგენტო	2019: 50 საცხოვრებელი 2020: 50 საცხოვრებელი	2019: 1,000,000 2020: 1,000,000	სახელმწიფო ბიუჯეტი	კერძო მესაკუთრეებთან შეთანხმების მიუღწევლობა (გაყიდვის სურვილის არქონა ან შეთავაზებული ფასის მიუღებლობა)

პოლიტიკის შედეგი	აქტივობა	შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი უწყება	სახელმწიფო დაწესებულება/ პარტნიორი ორგანიზაცია	განხორციელების ვადა	საპროგნოზო ბიუჯეტი (ლარი)	დაფინანსების წყარო	შესაძლო რისკები
	დევნილთათვის საკუთრებაში გადაცემა							
	2.1.2.6. დევნილთათვის მრავალბინიანი ან ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების აშენება მოქმედი სტანდარტების მიხედვით და გადაცემა საკუთრებაში	• აშენებული კორპუსების/ბინების რაოდენობა; • დევნილთათვის გადაცემული ბინების რაოდენობა.	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;	სსიპ- სოციალური მომსახურების სააგენტო	2019: 1,100 საცხოვრებელი 2020: დაზუსტდება 2019 წლის ბოლოს	2019: 50,000,000 2020: დაზუსტდება 2019 წლის ბოლოს	სახელმწიფო ბიუჯეტი	სამუშაოების შესრულების დაგვიანება კონტრაქტორი კომპანიის მიერ
	2.1.2.7. დევნილთათვის მრავალბინიან საცხოვრებელ შენობებში (კორპუსებში) ბინების შეძენა/შესყიდვა და საკუთრებაში გადაცემა.	• შეძენილი ბინების რაოდენობა; • დევნილთათვის გადაცემული ბინების რაოდენობა.	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სსიპ- სოციალური მომსახურების სააგენტო	-	2019: 800 ბინა 2020: დაზუსტდება 2019 წლის ბოლოს	2019: 29,000,000 2020: დაზუსტდება 2019 წლის ბოლოს	სახელმწიფო ბიუჯეტი	სამუშაოების შესრულების დაგვიანება კონტრაქტორი კომპანიის მიერ
	2.1.2.8. დევნილი ვეტერანების გრძელვადიანი განსახლების მიზნით ბინების შეძენა	2.1.2.6. და 2.1.2.7.- ე აქტივობების ფარგლებში საცხოვრებლით უზრუნველყოფილი იმ	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,	სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური	2019: 180 ოჯახი 2020: დაზუსტდება 2019 წლის ბოლოს	2019: 2.1.2.6. და 2.1.2.7. -ე აქტივობების ბიუჯეტები 2020: 2.1.2.6. და	სახელმწიფო ბიუჯეტი	-

პოლიტიკის შედეგი	აქტივობა	შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი უწყება	სახელმწიფო დაწესებულება/ პარტნიორი ორგანიზაცია	განხორციელების ვადა	საპროგნოზო ბიუჯეტი (ლარი)	დაფინანსების წყარო	შესაძლო რისკები
	(საპილოტე) 2.1.2.9. დევნილი ვეტერანების გრძელვადიანი განსახლების პილოტირების მიზნით, მინისტრის ნორმატიული აქტით დამტკიცებულ დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესში ცვლილებების განხორციელება	მოწყვლადი დევნილი ოჯახების რაოდენობა, რომელთა ოჯახის წევრს აქვს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებული ომის ვეტერანის სტატუსი ან გარდაიცვალა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო			2.1.2.7. -ე აქტივობების ბიუჯეტები		
	2.1.2.10. ერთჯერადი ფულადი დახმარება იმ დევნილი ოჯახებისთვის, რომლებმაც მინისტრის ნორმატიული აქტით დამტკიცებულ ვადამდე სესხით შეიძინეს საცხოვრებელი ბინები და იგი არის მათი ერთადერთი ფაქტობრივი საცხოვრებელი. 2.1.2.11. აღნიშნულის განხორციელების მიზნით, შემუშავდება შესაბამისი ცვლილება და აისახება მინისტრის ნორმატიული აქტით დამტკიცებულ დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესში.	• იმ დევნილი ოჯახების რაოდენობა, რომლებმაც მიიღეს ფინასური დახმარება; • მინისტრის ნორმატიული აქტით დამტკიცებული დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესი შემუშავებულია და ასახულია შესაბამისი ცვლილება.	სსიპ- სოციალური მომსახურების სააგენტო	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2019: 110 ოჯახი 2020: დაზუსტდება 2019 წლის ბოლოს	2019: 2,200,000 2020: დაზუსტდება 2019 წლის ბოლოს	სახელმწიფო ბიუჯეტი	-

პოლიტიკის შედეგი	აქტივობა	შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი უწყება	სახელმწიფო დაწესებულება/ პარტნიორი ორგანიზაცია	განხორციელების ვადა	საპროგნოზო ბიუჯეტი (ლარი)	დაფინანსების წყარო	შესაძლო რისკები
	2.1.2.12. იმ დევნილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, რომლებიც ცხოვრობენ სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველ ნგრევად და/ან საცხოვრებლად უვარგისი მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართობში და აღნიშნული ობიექტების დახურვა.	• დევნილი ოჯახების რაოდენობა, რომლებმაც მიიღეს გრძელვადიანი განსახლება; • დახურული ნგრევადი და/ან საცხოვრებლად უვარგისი ობიექტების რაოდენობა; • ექსპერტის მიერ შეფასებული ობიექტების რაოდენობა.	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო	2019: 350 ოჯახი; 20 დახურული ობიექტი 2020: 350 ოჯახი; 20 დახურული ობიექტი	2019: 2.1.2.6. და 2.1.2.7. -ე აქტივობის ბიუჯეტი 2020: 2.1.2.6. და 2.1.2.7.-ე აქტივობის ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	-
2.1.3დევნილთა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების გაუმჯობესებული მდგომარეობა	2.1.3.1. საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით დევნილებისათვის საკუთრებაში გადაცემულ მრავალბინიან სახლებში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინანსება ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან ერთად.	დაფინანსებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	შესაბამისი მუნიციპალიტეტები	2019: 130 ამხანაგობა 2020: დაზუსტდება 2019 წლის ბოლოს	2019: 300,000 2020: დაზუსტდება 2019 წლის ბოლოს	სახელმწიფო ბიუჯეტი	-
	2.1.3.2. საერთო სარგებლობაში არსებული ფართების ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისთვის საკუთრებაში გადაცემა	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისთვის საკუთრებაში გადაცემული ფართების რაოდენობა	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო	2019: 20 ფართი 2020: 20 ფართი	2019: 40,000 2020: 40,000	სახელმწიფო ბიუჯეტი	ბინათმესაკუთრე-თა ამხანაგობების მიერ სათანადო დოკუმენტაციების წარმოდგენის შეფერხება ან არასწორად წარმოდგენილი დოკუმენტაცია
2.2. ამოცანა: დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება								

პოლიტიკის შედეგი	აქტივობა	შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი უწყება	სახელმწიფო დაწესებულება/ პარტნიორი ორგანიზაცია	განხორციელების ვადა	საპროგნოზო ბიუჯეტი (ლარი)	დაფინანსების წყარო	შესაძლო რისკები
2.2.1. დევნილთა სოციალური დახმარების სისტემის გაუმჯობესება	2.2.1.1. დევნილთა საჭიროებებზე მორგებული შემწეობის მოდელის შემუშავება	დევნილთა სოციალური დახმარება დიფერენცირებულია მათი სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობის მიხედვით	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულებები და პარტნიორი ორგანიზაციები	2019: დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების გამართვა 2020: დევნილთა საჭიროებებზე მორგებული მოდელის შერჩევა	2019: 30,000 2020: 20,000	სახელმწიფო ბიუჯეტი; დონორი ორგანიზაციები	დევნილებთან და საზოგადოების ფართო ჯგუფებთან კონსულტაციების განსახორციელებლად შეიძლება დამატებითი რესურსები გახდეს საჭირო
	2.2.1.2. დევნილების სოციალური დახმარებისა და დაცვის სახელმწიფო პროგრამებში ჩართვის უზრუნველყოფა	იმ დევნილთა რაოდენობა, რომლებიც მონაწილეობენ სახელმწიფო პროგრამებში	სსიპ- სოციალური მომსახურების სააგენტო	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2019: ყოველთვიურად 2020: ყოველთვიურად	2019: 450 2020: 450	სახელმწიფო ბიუჯეტი	-
	2.2.1.3. გადაუდებელი /განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში, დევნილთა ფულადი დახმარებით უზრუნველყოფა, შემუშავებული კრიტერიუმების შესაბამისად.	- გადაუდებელი/ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთა შერჩევის კრიტერიუმები შემუშავებულია და გამოიყენება; - ოჯახების რაოდენობა, რომლებმაც მიიღეს დახმარება; - შემუშავებული კრიტერიუმები	სსიპ- სოციალური მომსახურების სააგენტო	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2019: 6000 ოჯახი/პირი 2020: 6000 ოჯახი/პირი	2019: 1,400,000 2020: 1,400,000	სახელმწიფო ბიუჯეტი	-

პოლიტიკის შედეგი	აქტივობა	შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი უწყება	სახელმწიფო დაწესებულება/ პარტნიორი ორგანიზაცია	განხორციელების ვადა	საპროგნოზო ბიუჯეტი (ლარი)	დაფინანსების წყარო	შესაძლო რისკები
	2.2.1.4. გადაუდებელი საჭიროების შემთხვევაში, დევნილთა დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა, მინისტრის ნორმატიული აქტით დამტკიცებული დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესისა და კრიტერიუმების მიხედვით.	ოჯახების რაოდენობა, რომლებმაც მიიღეს დახმარება ბინის დაქირავების მიზნით	სსიპ- სოციალური მომსახურების სააგენტო	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2019: 1300 ოჯახი 2020: 1300 ოჯახი	2019: 600,000 2020: 600,000	სახელმწიფო ბიუჯეტი	-
2.2.2.საარსებო წყაროებზე დევნილთა გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობა	2.2.2.1. საარსებო წყაროების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის ეფექტური განხორციელება	* განხორციელებული საარსებო წყაროების სტრატეგია; * განხორციელებული სამოქმედო გეგმის შეფასების ანგარიში.	სსიპ - დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2019: რეგულარულად 2020: რეგულარულად	2019: 1,869,200 2020: დაზუსტდება 2019 წლის ბოლოს	სახელმწიფო ბიუჯეტი; დონორი ორგანიზაციები	დაინტერესებული მხარეების არასათანადო ჩართულობა საარსებო წყაროების პროგრამების განხორციელებაში
2.3. ამოცანა: დევნილთა ინფორმირებულობის გაზრდა								
2.3.1. დევნილთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ცნობიერების/ ცოდნის და ინფორმირებუ-ლობის დონის გაზრდა დევნილთათვის ხელმისაწვდომ პროგრამებზე;	2.3.1.1.დევნილებთან დაკავშირებულ პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე, არასამთავრობო ორგანიზაციების, მუნიციპალიტეტებისა და მედიასაშუალებების ინფორმირება საინფორმაციო ღონისძიებების გზით	სამინისტროსა და პარტნიორ/ არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის ინფორმაციის გასაზიარებლად ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა. მრგვალი მაგიდების რაოდენობა და ა.შ.	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	სსიპ- სოციალური მომსახურების სააგენტო	2017: რეგულარულად 2018: რეგულარულად	2.2.2.1. აქტივობის ბიუჯეტი; ადმინისტრაციული რესურსის ფარგლებში	სახელმწიფო ბიუჯეტი	-

პოლიტიკის შედეგი	აქტივობა	შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი უწყება	სახელმწიფო დაწესებულება/ პარტნიორი ორგანიზაცია	განხორციელების ვადა	საპროგნოზო ბიუჯეტი (ლარი)	დაფინანსების წყარო	შესაძლო რისკები
იურიდიული კონსულტაციების ხელმისაწვდომობა და ასევე მათი სამოქმედო გეგმაში ჩართულობის ხელშეწყობა.	2.3.1.2. სამოქმედო გეგმის შედგენის, განხორციელებისა და მიმოხილვის პროცესში დევნილთა ჩართულობის ხელშეწყობა: დევნილთა ჯგუფებთან წარმომადგენლობითი შეფასებისა და საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება, სტრატეგიის განხორციელების განხილვა და წინადადებების მომზადება.	წლიური დევნილთა ჩართულობის შეფასება: • დევნილებისგან მიღებული მოსაზრებები; • მათთვის განკუთვნილი პროგრამების შესახებ დევნილებთან გამართული კონსულტაციები; • მთავრობისა და დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები ინფორმირებულნი არიან დევნილთა მოსაზრებების შესახებ.	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	სსიპ- სოციალური მომსახურების სააგენტო; არასამთავრობო ორგანიზაციები	2019: რეგულარულად 2020: რეგულარულად	2.2.2.1. აქტივობის ბიუჯეტი; ადმინისტრაციული რესურსის ფარგლებში	სახელმწიფო ბიუჯეტი	დაინტერესებული მხარეების არასათანადო ჩართულობა საარსებო წყაროების პროგრამების განხორციელებაში